2013 წლის 18 სექტემბრის

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

18 სექტემბერი, 2013 წ

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ქეთევან ბექაური, ნოდარ ფეიქრიშვილი, ბესო აბაშიძე, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე

დღის წესრიგი:

1. ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" განცხადის განხილვა ორგანიზაციული აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განცხადების განხილვა თემა "ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა".

2. ასოციაციაში გაწევრიანება;

3. ორგანიზაციის "ახალგაზრდა ადვოკატები" განცხადება მემორანდუმის თაობაზე;

4. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესში ცვლილების შეტანის შესახებ;

5. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

6. თავმჯდომარის ინიციატივა: იმედა დვალიძის საპარლამენტო მდივნად დანიშვნის თაობაზე;

7. ასოციაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტში (70 000 ლარი) დარჩენილი დანაზოგის (33 000 ლარის) სასწავლო ცენტრის რემონტის ხარჯებში გადატანის შესახებ; სასწავლო ცენტრის ორივე ოფისის შიდა ქსელების გასამართად დამატებით ბიუჯეტიდან 20 000 ლარის გამოყოფის შესახებ.

დღის წესრიგის აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, წევრებმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. მიენიჭოს ორგანიზაციული აკრედიტაცია ორგანიზაციას "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის". ასევე, მიენიჭოს აკრედიტაცია ამავე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ თემას: "ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა".

2. საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება. ასევე, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი ყველა უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები.

ა). **გვანცა ჩხეიძის** განცხადება გაწევრიანების შესახებ დაკმაყოფილდეს და საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ **21²** მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეს წევრობა.

ბ). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, **ნუკრი კვანტალიანს** უარი ეთქვას გაწევრიანებაზე. აღნიშნულ პირს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

გ). გაუქმდეს **ნაზიბროლა დუმბაძის** მიმართ არსებული 2010 წლის საწევრო დავალიანება და 2009 წლის საწევრო დავალიანების გადახდის და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ განახლდეს მსჯელობა მისი ხელახლა გაწევრიანების შესახებ.

3. გაფორმდეს მემორანდუმი ორგანიზაციასთან "ახალგაზრდა ადვოკატები";

4. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესში შესატანი ცვლილები დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით (დანართი №1).

5. საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით (დანართი №2);

6. საქართველოს პარლამენტში მიმდინარე ასოციაციისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მოწოდების და საკანონმდებლო ორგანოსთან კომუნიკაციის გაფართოების მიზნით, საპარლამენტო მდივნად დანიშვნის თაობაზე წარდგენილ იქნას იმედა დვალიძის კანდიდატურა;

7. სასწავლო ცენტრის ბიუჯეტში დარჩენილი 33 163 (ოცდაცამეტი ათას ასსამოცდასამი) ლარი გადატანილ იქნას სასწავლოს ცენტრის სარემონტო ხარჯებში და დამატებით, სასწალო ცენტრის ახალი ოფისის სარემონტო და

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის მიზნით, ასევე სასწავლო ცენტრის ორივე ოფისის დაცული შიდა ქსელების გასამართად ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 20 000 ლარი. შევიდეს ცვლილება ასოციაციის 2013 წლის ბუჯეტში;

8. 2013 წლის 28-30 ნოემბერს, ასოციაციის თავმჯდომარის ბრიუსელში ვიზიტისთვის, ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს პლენარულ სესიაზე დასასწრებად, ასოციაციის 2013 ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო ხარჯებიდან გამოიყოს 1700 ლარი.

9. ჟურნალის "ადვოკატი" მეოთხე ნომრის გამოსაცემად ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოიყოს 9 000 ლარი. შევიდეს ცვლილება ასოციაციის 2013 წლის ბუჯეტში.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე